# ნიანგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3

გამოცემის 54-ე წელი, (№ 1493). თებერვალი. 1977. ფასი 20 კაპიკი.




— რამ გადარია ეს ხალხი?

— მანდ ერთი სპეკულანტი იაპონურ ქოლგებს ისეთ ფასად ყიდის, რომ კიდევ კარგ ჭკუაზე არიან!

# პიონერი



## ჟურნალ „პიონერს"

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხურვალედ მოგესალმები საყვარელ ჟურნალს
„პ ი ო ნ ე რ ს“! —
შენგან ნაწრთობი თაობა იმრავლებს, იმილიონებს!
ხარ ბავშვთა მესაიდუმლე, მასწავლებელი, გამზრდელი,
მოსწავლე ახალგაზრდობის დამრიგებელი ხარ ბრძენი!

გაზარდე ბევრი ცნობილი მეცნიერი თუ მხატვარი,
მხატვრული სიტყვის ოსტატი, მშრომელი ალალმართალი!..
ყოველთვე უქეთესდები, მიმზიდველობას იმატებ
და ყველა ქართულ ოჯახში შედიხარ ცოდნა-სინათლედ!

შენზე, ბაჯაღლო ჟურნალო, — ეს დასამალი არ არის, —
ყველა ხოტბა და დიდება, ყველა ჯილდოა ალალი!
ვაშა იმ მოამაგეებს, შენ რომ ღამეებს გითევენ —
თანამშრომლებს და ავტორებს, რომ გიხარებენ მკითხველებს!

მთავარ რედაქტორ-ქალმერთად გყავს ბაბულია შელია —
ჟურნალისტი და მწერალი, მოღვაწე სანატრელია! —
მისი საქვეყნოდ საქები მნათი საქმენი გშვენიან,
მის ხელში გწყალობს აწმყოცა და მომავალიც შენია!

ნიანგის დავალებით
ზაურ ბოლქვაძე

## ძალიან საინტერესოა

**ჩიტი** ბუდეში ათევს ღამეს, ციყვი — ფუღუროში, დათვი — ბუნაგში, ავტომობილი — გარაჟში. ზოგიერთი ავტომობილი, რომელსაც თავზე ხელაღებული მძღოლი და უდარდელი გარაჟის გამგე ჰყავს, ან ქუჩა-ქუჩა დახეტიალობს, ან ღმერთმა იცის სადა დგას.

ა ს ე თ ი ა ვ ტ ო მ ო ბ ი ლ ე ბ ი ა: **81-96 გრს, 43-61 გრშ, 71-88 გან, 41-72 გაგ, 23-44 გაშ, 41-60 გრშ, 21-96 გრმ, 08-44 გან, 88-68 გამ, 14-17 გრშ, 56-19 გან და 53-04 გაც.**

ნეტავ, რას გვიპასუხებენ ამ ავტომობილების მფლობელ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები?

...ამერიკაში რომ შუაღამეა, ჩვენთან შუადღეა, ვლადივოსტოკელები რომ სამსახურში მიიჩქარიან, ბრესტში დასაძინებლად ემზადებიან. ჩვენთან, აქამდე, დროის ორი განსაზღვრა არსებობდა: ადგილობრივი და მოსკოვისა. მოსკოვის დროით საავიაციო და სარკინიგზო ტრანსპორტი მუშაობს. თბილისის ზოგიერთი ავტომეურნეობა კი მუშაობს „სპეციალური“ მესამე დროით, რასაც მძღოლებს უწერენ საგზურში გარაჟიდან გასვლის წინ.

**კავშირგაბმულობის სამინისტროს თბილისის ავტობაზის გარაჟიდან „გაზ-51“ მარკის ავტომანქანა (სახ. № 81-47 გაი) დილის 10 საათზე გამოვიდა, ავტოინსპექტორებმა კი დილის ცხრა საათზე დააკავეს მოსკოვის გამზირზე. ავტომობილს მძღოლი არაბული მართავდა.**

**ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მუშათა მომარაგების თბილისის განყოფილების ავტომანქანა „მოსკვიჩი“ (№ 71-28 გან) მძღოლმა საიდუროვმა სამუშაოდ დილის 10 საათზე გაიყვანა, ცხრის ნახევარზე კი მოსკოვის გამზირზე ავტოინსპექტორებს მზადყოფნა უპატაკა.**

**თავისი „სპეციალური“ დროით მუშაობენ თბილისის აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო უბნისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის სპეციალურ სანიტარული სადეზინფექციო განყოფილების ზოგიერთი დისპეტჩერები, მძღოლები და მექანიკოსები.**

საინტერესოა, რომელი მერიდიანიდან იწყებენ აღნიშნული დროის თვლას და აქვთ თუ არა დისპეტჩერებს, მძღოლებსა და მექანიკოსებს საათები გადაყვანილი თავიანთ „სპეციალურ“ დროზე?

ავთო ინსპექტორია

## გლეხის ჩივილი

ბაზარში აღარ წამოვალ,
გინდ ცოლმა მცემოს კეტითა,
ერთხელ ვიყავი, მაშინაც
გამიშვეს თითის კვნეტითა...
ახლა აგიხსნით, თუ რატომ,
რამ შემაძულა ბაზარი:
შეველ თუ არა, კარებში
მებაჟემ დამცა თავზარი! —
წინ გადამიდგა, უმალვე
ჩანთას მიტაცა ხელია,
ყვირილით მკითხა: „რა
მიგაქვს?!“
მე ვუპასუხე: „ყველია!“
— „ჩეკი გაქვს?!“
— „დიახ, ბატონო!“
— „გამოგიჭრია ყელია,
ახლა ადგილის მოცემა,
რა გიყო, ძმაო, ძნელია...
ჩეკი რად გინდა?! ადგილში
ხუთ მანეთს იხდის ყველაო,
შენც ხუთი დადე, მეტს არ
გთხოვ.
ოღონდ არ დასძრა ენაო!“
დახლთან როდესაც მოვერგე,
დავიწყე ყველის გაყიდვა,
ვიღაცა ჩემთან მოვიდა,
ხელი წამკრა და აყვირდა:
— „რეგვენო! ვინ მოგიყვანა?!
რა გსურს, აქ რა დაგრჩენია?!
არ იცი, რომ ეს ადგილი
ყოველდღიურად ჩემია?!“
კონტროლიორმა ეს მითხრა, —
არც ნაკლები და არც მეტი, —
„ადგილს კვლავ მოგცემ ახალს და
მომეცი ხუთი მანეთი!“
ათი მანეთი დამიჯდა
ბაზარში ერთი ადგილი,
შინ რომ დავბრუნდი, მებაჟეს
მაშინ დავუწყე ქადილი.
ეს რომ გაიგო მეუღლემ,
აღარ მაჭამა სადილი.

ყარამან წიკლაური

ნახ. მ. აბაშიძისა



— ესენი რატომ არ მღერიან?
— ჩემზე არიან განაწყენებულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კლუბის** გაჯაცვენილ კედელზე პიკანტური აფიშა გაჩნდა: **„ა/წლის 27 ივნისს, მიკროფონების საკონსტრუქტორო ბიუროს დაარსების 10 წლისთავთან დაკავშირებით, შედგება თემატურ-ტექნიკური საღამო — ხარისხიანი მიკროფონი!“**

საღამო მოულოდნელი ბატალიებით დაიწყო. საკონსტრუქტორო ბიუროს სამი კოჰორტა საშინელი თავგანწირვით ექვეთა საპატიო პრეზიდიუმის 50 სკამს. ახალგაზრდები კარატეს ილეთებით იკავებდნენ ადგილებს, მაგრამ არც ხანდაზმულები რჩებოდნენ ვალში: ჯამბაზებივით აცლიდნენ სკამებს გამოუცდელ ახალგაზრდებს და, ხელ-ფეხის ვაზისებური ჩახლართვით, სკამებთან მონოლითურ ერთიანობას ქმნიდნენ. ბოლოს გამარჯვებულებმა ინამუსეს და ახალგაზრდებთან სკამებზე დაწყვილების კომპრომისზე წავიდნენ.

სიტყვა საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს მისცეს:

— ამხანაგებო! — დაიწყო უფროსმა, — ჩვენ ტექნიკის საუკუნეში ვცხოვრობთ. ჩემი ხელმძღვანელობით ბიურომ მეათედი საუკუნის მანძილზე შექმნა მთელი რიგი ავტომატები, ნახევარავტომატები და არაავტომატები. აიღეთ თუნდაც ეს მიკროფონი: კრების თავმჯდომარეს შეუძლია დააჭიროს ნებისმიერი თითი და სიტყვიდან გამორთოს ნებისმიერი ამხანაგი. ეს საგრძნობლად ამსუბუქებს მის შრომას და ამაღლებს თათბირის ხარისხს, აღარ მოითხოვს შეძახილებს: „რეგლამენტი! ე, ბიჭო, გეყოფა! ნუ გარეკე! ჩამოგიღებ მაგ ტრიბუნიდან!“ და სხვა. ტექნიკის ამ შედევრს ჩვენც გვარიანად გამოვიყენებთ! არ გვჭირდება თუ?! გაიხსენეთ, ამას წინათ, სერგეი პლატონიჩი ოთხმა კაცმა ძლივს რომ ააღლიტა ტრიბუნიდან, ან სანდრო ანდრეევიჩს თავმჯდომარემ ასგვერდიანი სიტყვა რომ ააცალა და გაცეცხლებულმა ანდრეევიჩმა მაჯაზე რომ უკბინა, ან ჩვენი პატივცემული აპოლონ სოკრატიჩი რომ ვეღარ და ვეღარ გამოვრთეთ და ჩემი მითითებით მეხანძრე გრამიტონამ ოთხი ვედრო წყალი რომ დაუშვა კვახივით თავზე. ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ამხანაგებო! რას მოგვცემს ხარისხიანი მიკროფონის დანერგვა ჩვენს პრაქტიკაში? მთელი სამუშაო საათების 5 პროცენტ ეკონომიას! ერთი სიტყვით, ამხანაგებო, ჩვენი მიღწევა საუკუნის მიღწევაა! ამას ახლავე დაგიმტკიცებთ!
— და მიკროფონს თითი მიაჭირა.

— მართლა გამორთო, კაცო! — ახმაურდა ხალხი.

— მიკროფონი კი არა, ღმერთი ყოფილა!

— ჩუმად, კაცო! რაღაცას ამბობს კიდევ! — იყვირეს დარბაზში.

უფროსი მუნჯი კინოს მთავარი გმირივით ათამაშებდა ტუჩებს, ათიოდე კაცი ეძგერა მიკროფონს, გულწასულივით შეანჯღრიეს, შეარხიეს, მერე, რომ აღარაფერი არ ეშველა, მეორე გამოიტანეს და გვერდით მიუდგეს.

— ამხანაგებო! — განაგრძო უფროსმა, — მიკროფონი, რომელიც გიჩვენეთ, გახლდათ ჩვენი შემოქმედების პირველი ნაყოფი. ჩვენ შემდეგ მივაღწიეთ გაუმჯობესებას...

დამუნჯდა მეორე მიკროფონიც. ატყდა უარესი ალიაქოთი. როგორც იქნა, მესამე მოარბენინეს...

— ვის არ ჰქონდა ჩავარდნები, ამხანაგებო! ჩვენც გვქონდა! ეს იყო მეორე წელს...

და მიკროფონს დედა ეტირა...

— დიახ, ამხანაგებო! ჩვენ წინ მივიწევდით ყოველწლიურად, მაგალითად, მეოთხე წელს...

და მეოთხე მიკროფონიც ჩაფლავდა. იქვე გაჩნდა მეხუთე, მეექვსე და, ბოლოს, მიკროფონების ათეული ჩამწკრივდა. ეს ის დრო იყო, როცა უფროსი მეათე წელს ახასიათებდა, როგორც გამარჯვების წელიწადს, მაგრამ ულმობელი ბედისწერა თავისას აკეთებდა...

— მეტი მიკროფონი აღარ გაგვაჩნდა და არ ვიცოდით, რა წყალში ჩავცვენილიყავით...

აუდიტორიისა და ტრიბუნის შემაერთებელი ძაფი გაწყდა და უხერხულმა სიჩუმემ მთელი დარბაზი გაყინა, მაგრამ ისევ უფროსმა გადაგვარჩინა:

— ჩვენ აწი ვეღარაფერი გაგვაჩერებს, ამხანაგებო! ჩვენი დევიზია: „წინ — ხარისხისაკენ!“ გათვალისწინებული გვაქვს, შევქმნათ რობოტი-მიკროფონი, რომელსაც მიაჭერ თითს და თვითონვე ილაპარაკებს! — თქვა და ტაში გაახურა.

ტაშს დარბაზი ტაშით, სტვენითა და ფეხების ბრახუნით შეხვდა.

რაც მართალია, მართალია, საღამოს ხარისხი უდავო იყო!

**აკაკი მუხურაძე**




ნახ. მ. აბაშიძისა



— აგა, ჰე, სანამ დგას, მოაწერეთ მიღების აქტზე ხელი!

## დახლთან

გაღმა გამყიდველია
და გამოღმა — მყიდველი,
მათ შუაა სასწორი —
დიდი, ფერად წითელი!

თანაბარი მანძილი
ორივ მხრიდან იქნება,
და სასწორის ისარი
ვისკენ გადაიხრება, —

ვნახოთ!
ჰა, გამყიდველი
სულ ღიმილად იღვრება...

წონის!
სხარტი ისარი
ძირს ჯიუტად იხრება,
გამყიდველის მხარეზე
იხრება და იხრება!..

გამყიდველი ღიმილით
წელში ნელა იხრება,
ქაღალდში ხვევს საქონელს,
სასწორივით ირხევა.

მყიდველს ასე მოსხიპა
გრამი, ბარე ორასი,
მოუმატა ღიმილში
და მოაკლო წონაში!..

**გიორგი შეთეკაური**

ნახ. მ. აბაშიძისა




— რატომ აღარ ყიდის ლუდს?
— რაღად უნდა?!

## „უნივერსალური" მუშაკი

მის შრომის წიგნაკს ჩახედეთ! — სასწაულია ნამდვილი! —
ოც წელიწადში ორმოცი გამოუცვლია ადგილი:

ჯერ მუშაობდა სკოლაში გეოგრაფ-ბიოლოგადა,
ფლობს ყველა მეცნიერებას, რაღა თქმა უნდა, ზოგადად.

მერე ბაზაში სამნეო ნაწილის გამგედ გაფორმდა.
შეთავსებით კი ჭრა-კერვის წრის უფროსადაც ვარგოდა.

მერე ბუღალტრად მოეწყო სადღაც ვაჭრობის დარგში და —
იქიდან იმის აბარგვას ორი-სამი თვე დასჭირდა.

ახლა ადგა და მიადგა ერთი ქალაქის „კოპკავშირს",
მაგრამ რა გადმოსდინდება, იქაც არ ასხია კოკამი?

მერე ლექტორად გაფორმდა, ინსპექტორობაც გაბედა,
იქიდან გადაისროლეს რეკლამბიუროს გამგედა,

იქიდან — ბაზის უფროსად, არტელის თავმჯდომარედა...
ვინ იფიქრებდა, თუ საქმეს ორ თვეში მოამთავრებდა?

ახლა კი აღარ წყალობენ, არც მუშაობას აცლიან...
ორი თვით ყველგან ივარგებს, მომზადებულია კაცია!

ავთანდილ გურგენიძე

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ასე მკვდრებივით რომ გძინავთ, იმიტომ ჩამიწერა რევიზორმა მკვდარი სულები?!



**ავტობუსი** სავსე ტომარასავით შეტოკდა, კარები მკაცრად მოიხურა; ვინც იღბლიანი იყო, დგომის დამატებით სიაში მოხვდა.

ავტობუსმა თავი აიშვა... სახელურზე ჩამოკიდებული ლამაზი ქალი ცდილობდა იატაკზე ფეხის დადგმას... მას მაღალი მამაკაცი ეხმარებოდა, როგორც იქნა, ლამაზი ქალი ბებერიანთა ზმუილ-ზმუილში იატაკზე „ნარნარად" დაეშვა!.. ვიღაცა ჯმუხ კაცს უნდოდა ლამაზი ქალის უკან ჩადგომა, მაღალს ეს არ ეჭაშნიკა. მოგვერდი ჰკრა; ჯმუხი ეკანა ხაზზე გადაიყვანა, იმ მოსაზრებით, რატომ უნდა შემიშალოს ხელი მშვენიერების ცქერაშიო?!

ჯმუხმა ხელი ლამაზი ქალისაკენ გააპარა... -ეს ხომ საზიზღრობაა!" მაღალს მორალური გრძნობა აუფეთქდა. ჯმუხი ნელა შეეხო ლამაზი ქალის პალტოს, მერე ჯიბე მოძებნა და თავისი თითები შიგ შეანარნარა... „ამას რას ვხედავ?"! ავტობუსიდან გადავარდნა ინატრა მაღალმა, შემდეგ გამბედაობა მოიკრიბა: ჯმუხს მკლავზე ხელი მოავლო და ლამაზი ქალის ჯიბიდან ხელი ამოაღებინა. მაღალმა ამოისუნთქა: „ნეტავ, გაჩერდეს ავტობუსი!"

ავტობუსი კი თავაწყვეტილი გარბოდა.

ჯმუხმა ისევ გააპარა ხელი ...მაღალმა ჯიბის ცენტრთან მოიგერია ხელი და ხმა დაკარგა. ჯმუხმა ლამაზი ქალის პალტოში კვლავ გაიმეორა „ტურნე", მაღალი სწვდა ჯმუხის მაჯას, დაუწყო ჯაჯგური, ძალს ერთი იყო და ძალს მეორე. ლამაზ ქალს თავის ჯიბეში ასეთი ბოდიალი არ ესიამოვნა და იყვირა:

— ქურდი! ქურდი!

მგზავრები აირივნენ.

...

— აი, ეს გახლავთ! — ლამაზმა ქალმა მილიციელს ქურდის კანდიდატურა დაუსახელა.

— მე... მე!.. — რაღაცის თქმას აპირებდა მაღალი მამაკაცი.

— მაგასთან ერთად მეორეც მუშაობდა. — ამოცნობაში ჩაერია ვიღაც მგზავრი.

— შეხედავ, კაცსა ჰგავს, ამოჩნდა ქურდი! — ვიშვიშებდნენ მგზავრები.

— მეორე ვინ იყო?! — ჰკითხა მილიციელმა მაღალს.

დაკითხვა დაიწყო...

ავთანდილ ადეიშვილი

## აზრები, აზრები...

● **ფული** ყოველგვარ ამინდში დნება.

● **სიბერეში** ყველაზე საიმედო დასაყრდენი.. ჯოხია.

● **თუ** ადამიანს გაჩუმების უნარი აქვს, ყველასთან ადვილად გამონახავს საერთო ენას.

● **ხანდახან** ისინი უფრო შორს მიდიან, რომლებიც გზას უჩვენებენ, ვიდრე ისინი, რომელთაც ეს გზა უკვე გაიარეს.

● **სიცილი** კარგია, თუ არავის აატირებს. ტირილიც კარგია, თუ არავის გააცინებს.

● **ზოგჯერ** სცადე, საკუთარი რჩევით იცხოვრო!

● **ერიდეთ** დამყოლ ხალხს, ისინი ყველაფერზე თანახმანი არიან!

● **თუ** სულელს შენი არ ესმის, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ბრძენი ხარ!

პოლონურიდან თარგმნა
სტანისლავ რავიჩმა

## ერთი ძელეხის ქრონიკიდან

— წერილების ჩამორიგება ანტონას ბიჭს დავავალოთ,, მანქანა ჰყავს, არ დაგვამადლის!

ანტონას ბიჭმა იცის, რა ყულფშიაც აქვს თავი გაყოფილი და დუმს... შუბლზე თმებჩამოშლილს, ანდერძივით აბარებენ მოპატიჟების ბარათებს.

— ამ დახავლეთ საქართველოს სამ დღეში კი ჩამოვურბენ, მაგრამ იქით რა მოგახსენოთ!..

აღმოსავლეთში ტუხუიას ვილისზე ამყარებენ იმედებს.

— ტუხუიას მანქანა ჯიხვივით გადის კლდეზე, იმედიანად ამბობს თავი კაცი. ტანში აკანკალებს ტუხუიას...

— ლობიოზე და ფლავზე — ოთხი კაცი, პალატების გასაჭიმად — ექვსი, ფოთში, თევზის ჩამოსატანად — სამი, მესაფლავეებთან — ერთი. ქალები მწვანილს გაარჩევენ, ბავშვები წყაროდან წყალს მოიტანენ.

— სკოლა? — კითხულობს რომელიღაც იმ ბავშვთაგანი.

— მთელი მასწავლებლები აქ იქნებიან და შენ რა ეშმაკი მიგარბენინებს ცარიელ სკოლაში?! — ამშვიდებს სწავლასმოწყურებულ ბავშვს თავი კაცი.

თეიმურაზ ლანჩავა

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ბატონო თამადა! თქვენი მოადგილე რაღაცას გიპირებს და დროზე გადააყენეთ!
— მერე სად დავნიშნო?!

## ისევ... თოვლის კაცის შესახებ!

(ფანტასტიკური მოთხრობა)

**მას** შემდეგ, რაც ეთნოფიზიოლოგიურმა ექსპედიციამ კავკასიის თოვლიან ფერდობზე თოვლის კაცის ვეება ნაკვალევი შენიშნა, ხოლო, უფრო მოგვიანებით, იმავე ექსპედიციის მიერ მიკვლეული იქნა პირველქმნილი ადამიანის მთელი ჯოგი, მეცნიერთა წინაშე წამოიჭრა ახალი პრობლემა: როგორ შეეპყროთ ნახევრადჰომოსაპიენსის თუნდაც ერთი ეგზემპლარი.

საქმეში ავიაცია ჩაერია და იმ დროს, როდესაც მაიმუნადამიანები ნადავლის გაყოფით იყვნენ გართულნი, ვერტმფრენებით გაშლილ ადგილას გამორეკეს, ალყაში მოაქციეს და ერთ-ერთი მათგანი ბადით დააკავეს.

ადამიანის მსგავსი მაიმუნის შესწავლა საკვლევ ცენტრში ჩამოსვლისთანავე დაიწყო. ბანჯგვლიანი გიგანტი ვეება გალიაში მოათავსეს. ყველასათვის მოულოდნელად იგი მეტად უწყინარი და მშვიდობისმოყვარე გამოდგა. მიუხედავად თავისი სიმაღლისა (2 მ. 70 სმ) იგი პროფესორის ხუჭუჭა სეტერის გამოჩენაზე გალიის კუთხეში აიტუზებოდა და შეშინებული ლექვივით იწყებდა ხოლმე ცახცახს. რაღაც სამიოდე თვის შემდეგ თოვლის კაცმა ხელის ჩამორთმევა და მისალმების დროს თავის დაკვრა ისწავლა. ექვსი თვის შემდეგ პროფესორის პირადი პასუხისმგებლობით თოვლის კაცი გალიიდან გამოუშვეს. ბანჯგვლოსანმა ოთახში გაიარ-გამოიარა, შემდეგ მაგიდასთან მივიდა, ზედ ორივე ხელით დაეყრდნო და კეფა მოიფხანა. ყოველივე ეს ისე ზუსტად გააკეთა, როგორც ამას პატივცემული პროფესორი, ბატონი კირილე აკეთებდა ხოლმე. იქ მყოფებმა სიცილი ვერ შეიკავეს, ხოლო დაბნეულმა პროფესორმა მეგობრულად მოუთათუნა თოვლის კაცს მხარზე ხელი.

ერთი წლის შემდეგ უკვე ჩამოყალიბებული ჰომოსაპიენსი გალიასა და საკვლევ ლაბორატორიას თავისი ხელით ალაგებდა. ერთ დღეს, ზუსტად წლინახევრისთავზე, ჟესტიკულაციით პროფესორს ანიშნა, პირის საპარსი მოწყობილობა და ტანსაცმელი მომიტანეთო. ნახევარ საათში სუფთად გაპარსული თოვლის კაცი, სპორტულ რეიტუზში გამოწყობილი, პროფესორის წინ იდგა და სარკეში თავს იწონებდა.

სამიოდ წელიწადში ბატონ კირილეს ძვირფასი გამოკვლევისათვის — „ადამიანის მსგავსი მაიმუნებისა და ადამიანების მსგავსების საკითხებისათვის" — აკადემიკოსობა მიენიჭა. ფაქტიურად კვლევა დამთავრებული იყო და თოვლის კაცი ისევ კავკასიის თოვლიან ფერდობებზე უნდა გაეშვათ, მაგრამ ბატონ კირილეს ჰუმანურობამ გასჭრა და „პაციენტი", რადგან საკვლევი ინსტიტუტის კმაყოფაზე მისი ყოფნა აღარ ხერხდებოდა, ღამის დარაჯად გააფორმებინა. კადრების განყოფილებაში საქმე, ცოტა არ იყოს, გაძნელდა: განყოფილების გამგე გაჯიუტდა, არსად არის ჩაწერილი და ვერ მივიღებო. საცხოვრებელი ადგილიდან თხოულობდა ცნობას, მაგრამ, როგორც გამონაკლისი, ბოლოს, ყოველგვარი საბუთების გარეშე, მიიღეს სამსახურში.

მალე ადამიანის მსგავსმა მაიმუნმა თავი იმით გამოიჩინა, რომ ღამით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, არ ეძინა. ერთხელ ქურდიც კი შეიპყრო — ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, რომელიც ინსტიტუტის ტერიტორიიდან დეფიციტური ქიმიური მასალის გატანას ლამობდა. დღისით, არასამუშაო საათებში, თოვლის კაცი ფანქრით ხატავდა.

სხვა ცვლაში მომუშავე დარაჯები შურით აღივსნენ და თოვლის კაცზე რამდენიმე ჰუჭყიანი „ანონიმკა" შეთხზეს.

დაინიშნა კომისია, რომელმაც თვეზე მეტ ხანს იმუშავა. მაიმუნ ადამიანს მოსვენება დაეკარგა, ხედავდა, რომ სერიოზული ადამიანები არასერიოზულად მაიმუნობდნენ, მით უმეტეს, მან ხომ იცოდა, რომ მართალი იყო. პირველმა კომისიამ თოვლის კაცი ცამდე მართლად ცნო, მაგრამ „ანონიმშჩიკები" არ ისვენებდნენ და ამჯერად თოვლის კაცს პლაგიატობა — პიკასოს ნახატების მითვისება დასწამეს.

კომისიები ხელახლა დაინიშნა. ამჯერად მასში გამოჩენილი მხატვრებიც მონაწილეობდნენ. კომისიას კომისია მოჰყვა. თოვლის კაცმა მოსვენება დაჰკარგა. ვინაიდან წერა არ იცოდა, საკვლევი ინსტიტუტის ადმინისტრაციას ჟესტიკულაციით ანიშნა თავისი პროტესტი. პროფორგანიზატორს მაგიდაზეც კი დაურტყა მუშტი. მაიმუნადამიანის ასეთი მოქმედება ცუდად ენიშნათ და სასწრაფოდ გალიაში ჩაამწყვდიეს. კომისიებმაც ამოისუნთქეს, სათანადო დასკვნებიც დაწერეს, ათმა უმცროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა და ორმა აკადემიკოსმაც მოაწერეს ხელი, ხოლო ნახატები, რომელსაც თოვლის კაცი არასამუშაო საათებში ხატავდა, აკრძალულ ლიტერატურად ჰიიჩნიეს და ცეცხლგამძლე სეიფში ჩაკეტეს.

ერთ დილას თოვლის კაცის გალია ცარიელი აღმოჩნდა: მაიმუნ-ადამიანს ბოქლომი მოეგლიჯა და გაქცეულიყო. გალიის ნახევრადმოგლეჯილ კარებზე მისი ავტოგრაფი ნახეს — თოვლის კაცის მიერ შესრულებული უკანასკნელი გრაფიკული ნამუშევარი, სამი ბანჯგვლიანი თითის კომბინაცია.

ამას წინათ ცნობა მოვიდა, რომ მთაში ალპინისტებს უამრავი თოვლის კაცი ენახათ, მათ შორის ერთი ადამიანის ტანსაცმელში ყოფილა გამოწყობილი.

თამაზ ჭეიშვილი



## 50 წლის ქართლოს კასრაძეს

პატრიოტული პათოსით ვსვამ სადღეგრძელოს ქართლოსის!
ორმოცდაათ წელს ვულოცავთ მწერალს, მსახიობს მადლმოსილს!
ქართლოსის ყველა ღირსებას ასე იოლად რას მოვთვლი?!
გახარებული ვიყავი „ნიანგში“ მისი გადმოსვლით!

ამხანაგებო, ქართლოსი გავზომოთ ქართულ არშინით!
დედით არს შთამომავალი იაკობ გოგებაშვილის!
სტუდენტი იყო ჰუმორით აღსავსე ლაღი ნატურა, —
ისტორიაში შევიდა „ტ ო მ ა ტ ი თ“ ავტომატურად!

ალპინისტობდა, მწვერვალზე თოკით ცხრა კაცი აჰყავდა,
ბოლოს შეეშვა, რადგანაც... მაყურებელი არ ჰყავდა!
გაზეთ „ჭინჭარის“ შემქმნელი, უსაყვარლესი მოკრივე
ერთხელ მეტოქემ დაშალა ისე, რომ ვეღარ მოკრიფეს...

პანტომიმებით გრგვინავდა, უთამაშია კინოშიც,
მოთაყვანეა მამულის, ყველა ქართული კილოსი!
მამაა ოთხი შვილისა (რომ ჰყავდეს, კიდევ ცხრას გაზრდის!)
ბაბუაც გახლავთ ქართლოსი ქართლოს და ოთარ კასრაძის!

გურულმა ცოლმა, გმირულად მხარში დაუდგა რომელიც,
მთლიანად გააგურულა ქართლოს-ქართლელი-გორელი.
ქართლოსზე უფრო ერთგული მე კაცი არ მეგულება:
დიდ მამის — დ ა ვ ი თ კ ა ს რ ა ძ ი ს გამოსცა ოცი თხზულება.

უძღვნა რამიშვილს, სუხიშვილს შრომა, არც ისე ადვილი —
„ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე“ — ბრწყინვალე წიგნი ნამდვილი.
ამთავრებს რომანს — „ფარნავაზ“, ირჩია თემა ამგვარი —
სისხლსა და ცრემლში ნაბანი დედაქართული ანბანი!

რედაქტორობდა სერიას — „ნიანგის“ ბიბლიოთეკა“,
შესძლო მრავალი ჯიუტი, ურჩი ავტორის მოდრეკა.
ვულოცავთ ქართლოსს — პოლიგლოტს, ლექტორს, ნოველისტს,
ჟურნალისტს,
ის არის ანეკდოტებით ჩვენი მოწყენის მკურნალი,

თან „სპი“ ორკესტრის მთავარი რეჟისორია ქებული,
კონფერანსიე განთქმული და ტალანტგანაღდებული.
საზღვარგარეთის ქვეყნებში იმოგზაურა ახლახან,
ისეთ დიდ გულზე დაბრუნდა, კინაღამ ყველა დაგვლახა!

ორკესტრთან ერთად ესტუმრა ჰელსინკს, ლონდონს და ამსტერდამს,
ისე მიჰყავდა პროგრამა, მთელი ევროპა გაშტერდა...
მოაჯადოვა სტოკჰოლმი, კოპენჰაგენი, პარიზი...
ოსლოში მისი მისვლა და — აღტაცება და ხალისი.

უწოდა (რომ დაგარწმუნოთ ტრიუმფი ჰქონდა როგორი)
„პატარა ჩარლი ჩაპლინი“ დიდმა გაზეთმა სტოკჰოლმის.
წაიკითხა და ატირდა, სტოკჰოლმში კლერკი აფრინა,
გამაცნეთ, მომიყვანეთო, — ითხოვა ჩარლი ჩაპლინმა.

უნდოდა ჩარლის წაყვანა, არ გაატანეს შვედებმა!
მათი შეხვედრა არ შედგა, მაგრამ მერწმუნეთ, შედგება!
დღემდე სულ გამართული აქვს (რაც მთავარია ყველაზე!)
ათას რვაასი კონცერტი ცხრამეტ სხვადასხვა ენაზე!

თავს არ შეირცხვენს ქართველი! წინ კვლავ გზები აქვს დიდების!
ქართლოსსა შიგან რაცა სდგას, სიცილად წარმოსდინდების!
სულ მალე დისერტაციას დაიცავს (ბეჭდავს მასალებს),
ქართლოსის სადღეგრძელოა! — სულმოუთქმელად დაცალეთ!

ზაურ ბოლქვაძე

## ბავარიელი ულტრას „სიმწიფის ატესტატი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დასავლეთ** გერმანიიდან „სასიხარულო“ ცნობა მოვიდა: წამოიზარდა და დავაჟკაცდა კიდევ ერთი „ბუთხუზა ბიჭუნა“, რომლის წონამ (ტვინისაგან განსხვავებით) უკვე კარგა ხანია ბევრად გადააჭარბა ერთ ცენტნერს.

ყოველივე ეს მოხდა ფედერაციული რესპუბლიკის იმავე მხარეში (ბავარიაში), იმავე ქალაქში (მიუნხენში) და იმავე ლუდის ბარში, სადაც ნახევარი საუკუნის წინ პირველად წაითამაშა „პატარა ცელქმა ეფრეიტორმა“, რომელმაც შემდგომ „სრულიად უნებლიეთ“ მოუკიდა ცეცხლი თითქმის მთელ მსოფლიოს და „სრულიად შემთხვევით“ იმსხვერპლა სულ რაღაც 54 მილიონი ადამიანი.

ალბათ, სწორედ ამიტომ („ნუ მისცემთ ბავშვებს ასანთს და ნუ დასტოვებთ მათ სახლში მარტო“) ბავარიელი ულტრების ახალშობილ მესიას — ფრანც-იოზეფ შტრაუსს დიდხანს მეურვეობდნენ „კეთილი ბებიები“: ჯერ კონრად ადენაუერი, შემდეგ — ერჰარდტი და კიზინგერი და, ბოლოს, ძიძის როლი იკისრა ჰელმუტ კოლმა, მაგრამ „პატარა“ ფრანცი (იგივე იოზეფი) გაჭირვეულდა და განაცხადა: „კმარა!“ მან თავი გამოყო თავისი ბავარიული ბუნაგიდან... მაპატიეთ, აკვნიდან და გერმანელი ხალხის ფიურერობა მოიწადინა. „ამიერიდან, — თქვა მან, — ჩემი პარტია დამოუკიდებელი იქნება ქრისტიანი დემოკრატებისაგან და იგი იმოქმედებს ფედერაციული რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. ამისათვის ჩვენ დღეს სავსებით მომწიფებული ვართ!“

მარჯვნიდან გაისმა ტაში და გარკვეული წრეების წარმომადგენლებმა ფრანც-იოზეფ შტრაუსს „სიმწიფის ატესტატი“ მიართვეს. ახლა მას ყველა შესაძლებლობა მიეცა პრეტენზია განაცხადოს გერმანელი ხალხის ერთპიროვნულ ლიდერობაზე.

როდესაც 20-იან წლებში შტრაუსის წინაპარი და თანამოაზროვნე — ადოლფ ჰიტლერი გერმანიის მილიტარისტებისა და რევანშისტების წინაშე გამოცდას აბარებდა „სიმწიფის ატესტატზე“, მან წარმოადგინა სათანადო „ნაშრომი“ — „მაინ კამპფი“ („ჩემი ბრძოლა“) ბევრი ფიქრობდა, რომ ამ წიგნის ავტორი საგიჟეთში აღმოჩნდებოდა, მაგრამ... ჰოი, საოცრებავ! — იგი რაიხსკანცლერი გახდა!..

ჰიტლერის „თავბრუდამხვევი წარმატება“ მოსვენებას არ აძლევს შტრაუსს. თხა თხაზე ნაკლები... და მანაც შეადგინა საკუთარი ბიბლია — „ჰერაუსფორდერუნგ უნდ ანტვორტ“ („გამოწვევა და პასუხი“), რომელსაც მეტისმეტად „მოკრძალებული“ ქვესათაური დაურთო: „პროგრამა ევროპისათვის“(!) არც მეტი, არც ნაკლები! შტრაუსი, ჰიტლერის მსგავსად, ვერ ეტევა მშობლიური მხარის ფარგლებში და ნაქები ბავარიული ლუდით გაბრუებულ თავში იგივე იდეები ებადება. მისი ბედნიერება იმაშია, რომ მას ჰყავდა წინამორბედი, „მამა და მასწავლებელი“, რომელმაც უკვე წამოაყენა როგორც მთავარი მიზანი — „ლებენსრაუმ“ („სასიცოცხლო სივრცე“), ისე მისი განხორციელების საშუალებაც: „დრანგ ნახ ოსტენ“ („შეტევა აღმოსავლეთისაკენ“). შტრაუსიც დღეს ხომ აღმოსავლეთ ევროპის ხალხების „გათავისუფლებაზე“ ზრუნავს...

მაშ, ასე: ბავარიელმა ულტრამ აიდგა ფეხი და რევანშიზმის გზას შეჰყვა, მას სურს სამხედრო ფსიქოზის ესკალაცია ევროპაში, მაგრამ ავიწყდება, რომ ამ კონტინენტის ისტორიაში ახლა სულ სხვა, არა მიუნჰენის, არამედ ჰელსინკის შემდგომი პერიოდია.

სხვათა შორის, სიტყვა „ესკალაცია“ წარმოსდგება ფრანგულიდან — „ესკალიე“, რაც „კიბეს“ ნიშნავს. — ამიტომ ზოგიერთ ზედმეტად გადახურებულ თავებს დასავლეთ გერმანიაში საფეხური არ ჩაუტყდეთ!

ზანზი ბარა

---

**სმიტის** რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილე ცხრაასამდე აფრიკელმა — სოლსბერის საზოგადოების ტრანსპორტის მუშაკმა — შობის დღესასწაული შიკურუძის საპატიმროში „აღნიშნა“.

ნახ. გ. ლომიძისა



— ასე ტკბილად დამიგერდით!

ნახ. რ. ჯაშისა





უსიტყვოდ

ნახ. გ. ლომიძისა



უსიტყვოდ

110
25.II 77

# ნიანგის ჩანგლის შემდეგ

**ჩვენი** ჟურნალის 1976 წლის მე-15 ნომერში დაიბეჭდა კრიტიკულ-მამხილებელი წერილი — „ხ ა რ ი ს ხ ი — 76“, სადაც აღნიშნული იყო, რომ თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“ მიერ გამოშვებული მამაკაცის ზოგიერთი მოდელის ფეხსაცმელი უხარისხოა. ამის შესახებ იმსჯელა ფაბრიკის ხელმძღვანელობამ და პასუხი გამოგვიგზავნა: **„...ფეხსაცმლის ის მოდელი, რომელიც ჟურნალშია გამოქვეყნებული მიმდინარე წლის (1976 წ.) მეორე კვარტალში მოიხსნა წარმოებიდან და მის ნაცვლად ჩაშვებულ იქნა ახალი, ბუნებრივი ტყავის ორმაგლანჩიანი მოდელი, რომელიც „წვიმა-ტალახ-თოვლ გაუმტარია“.**

* * *

**იმავე** წლის მე-17 ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკულ-მამხილებელი წერილი „უპურო პურისმჭამელები“, სადაც გაკრიტიკებული იყო ვანის რაიკოოპერატივის პურკომბინატი, პროდუქციის უხარისხობის გამო. ვანის რაიკოოპერატივის გამგეობამ განიხილა კრიტიკული წერილი, დასახა ღონისძიება და პასუხი გვაცნობა: **„...მოყვანილი ფაქტები სწორია. რაიკოოპერატივის გამგეობის მიერ პურკომბინატის დირექტორს ა. ბ. ჯულაყიძეს, ტექნოლოგს ნ. ს. დიაკონიძეს, საცხობის წარმოების გამგეს ი. შ. ბიბილეიშვილს, საცხობის ლაბორანტს ი. ი. რამიშვილს და რაიკოოპერატივის პურის მაღაზიის გამყიდველს ვ. დ. აფშირავას გამოეცხადათ საყვედურები და გაფრთხილებულები არიან, რომ მსგავსი დარღვევების შემთხვევაში ისინი დაისჯებიან უფრო მკაცრად“.**

. . .

**შარშან,** სექტემბერში, „ნიანგმა“ (№ 17) კრიტიკული წერილით ამხილა ორჯონიკიძის რაიკოოპკავშირის რესტორან „ოდის“ ფილიალ „ფაცხას“ მუშაკები ვაჭრობის წესების დარღვევაში. ცეკავშირის გამგეობამ აღნიშნული ფაქტის გამო ასეთი პასუხი გამოუგზავნა რედაქციას: **„...როგორც ორჯონიკიძის რაიკოოპკავშირის გამგეობის ა. წ. 1 ოქტომბრის დადგენილებაშია აღნიშნული ჟურნალში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. დაშვებული დარღვევებისათვის პავილიონ „ფაცხას“ თანამშრომლები ნ. გიორგაძე, გ. სალდაძე და ვ. გელაშვილი განთავისუფლებულები არიან დაკავებული თანამდებობიდან“.**

## გზას ვამბობთ!...

**გზა მივცეთ გზას!** — ასე იწყება გორის რაიონის სოფელ ვარიანის მშრომელთა კოლექტიური წერილი: ცხოვრება წინ მიდის. მოთხოვნილებამ და ტემპმა იმატა, ჩვენ კი ბავშვები სკოლაში ხელის ურმებით მიგვყავს და მოგვყავს. ეს მხოლოდ წვიმიან ამინდსა და თოვლ-ჭყაპში. კარგ ამინდში ისეთი მტვერია, აირწინაღებს ვეძებთ, მაგრამ სადაა?! დაავრილ-დათხუპნულები გორის აბანოში მივდივართ. დავბრუნდებით და ისევ ყელამდე ტალახში ვართ. აბა, ჩვენს კეთილმოწყობას რა აზრი აქვს?!

**თბილისის** საქარხნო რაიონის აეროდრომის (ყოფილი მეშვიდე) ქუჩის მცხოვრებნი ქუჩის კეთილმოწყობას რა ხანია მოვითხოვთ, რა ხანია პასუხიც მივიღეთ, გავაკეთებთო, მაგრამ მაინც არ გააკეთეს. თეთრზე შავით დაწერილი ბევრია და მალე ათი წლის იუბილესაც გადავიხდით. თუ იუბილემაც არ უშველა, მაშინ პასუხების დასტა იმდენია, ქვაფენილებად გამოგვადგება!

ამ საქმეში არც ჩვენ ჩამოვრჩებით ვინმესო, იყვირეს ლოტკინის გორიდან და ტანთ დოკუმენტები აისხეს.

**ეს** რომ ვეძისში გაიგეს, შემოგვჩივლეს: ჩვენ გზას აღარ ვჩივით, სინათლე მოგვეცით, ხრამში არ ჩავიჩეხოთო.

ვეძისის ზემოთ, ლისის ტბისკენ მიმავალ გზას სოფელ ლისისკენ მივყავართ. სოფელ ლისიდან კი 6 კმ-ის მოშორებით მცხეთის რაიონის სოფ. მსხალდიდია. აქ მსხალი ბევრია, მაგრამ ქალაქში ვერ ჩამოგვაქვს უგზოობის გამო, გვწერენ მსხალდიდელები.

## დიალოგი

— საიდან მოდიხართ, ბიჭებო?!
— ოქრო დავმარხეთ...
— ჩუმად, დაგიჭერენ!..
— ჩვენ კი არ მოგვიკლავს, ინფარქტმა მოკლა!

**ნ. იოსებიძე**

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), გ. ნიჟნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე. ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი. ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ⊙ გადაეცა ასაწყობად 6/I-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/II-77 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ⊙ შეკვ 52 უე 00613 ტირ. 140.000 ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Ниаиги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 98-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: ა. ადეიშვილი, მ. აბაშიძე, თ. ჭეიშვილი, გ. ლომიძე, რ. ჯაში.

მთავარი რედაქტორი
ზურაბ გემაზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნახ. გ. ლომიძისა

ახალი ტიპის რაკეტების შექმნა შეერთებულ შტატებში მილიარდობით დოლარი ჯდება, ამ ხარჯებს პენტაგონი გადასახადის ამერიკელ გადამხდელთა ხარჯზე იღებს.

**მიგდებული ბავშვი**